



კვილი და ახალი

—უი ქა! მე რომ ბრაზიანი ძაღლი დამეტაკოს, ღობეს ვერ გადავახტები და მაგ კი რავა ჯადოქარივით მიფრინავს!..



ონისიძე ყოფილი პარტიულია. პარტია მას ითმენდა თავის რიგებში, ითმენდა სანამ შეიძლებოდა პარტიაში მისი მოთმენა არა ერთხელ ყოფილა დასმული საკითხი მისი პარტიიდან გამორიცხვის შესახებ. არა ერთხელ მიუციათ მისთვის გაფრთხილება და წინადადება, რათა მას სელი აედო ფრაქციულ მუშაობაზე, მაგრამ ონისიძე ყურადღებასაც არ აქცევდა საკონტროლო კომისიიდან მიღებულ გაფრთხილებებს.

— როგორ, უფლება არა მაქვს მე, ძველ რევოლუციონერს ვიმოქმედო თავისუფლათ? მაშ რისთვის მიბრძოლია? ვის შეუძლია თავისუფლება შემიწოდოს?

შინდა მემარჯვენე ვიქნები, მინდა მემარცხენე! ამბობდა ონისიძე და განაგრძობდა მემარჯვენე ოპოზიციაში მუშაობას.

— გაიგე ამხანაგო ონისიძე, რომ მსოფლიო ბურჟუაზიასთან ბრძოლაში ჩვენი პარტიის გამარჯვება შეიძლება მხოლოდ პროლეტარული სიმტკიცისა და მთლიანობის შენარჩუნებით. გაიგე, რომ საბჭოთა კავშირისა და ჩვენი პარტიის წინააღმდეგ ამხედრებულია მსოფლიო ბურჟუაზია,— შინაურ და გარეშე მტრებს არ სძინავთ და ლამობენ გულში ჩაგვცენ მახვილი. მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპოზიციები კი ასუსტებენ ჩვენს მუშაობას და ხელს უწყობენ მტრებს ჩვენთან ბრძოლაში...

ეუბნებოდენ მას საკონტროლო კომისიაში და უკანასკნელი გაფრთხილება მისცენ მას... ონისიძე არც ისე შეუფერხებელია, რომ ვერ მიმხვდარიყო თავის დანაშაულს, მან იცოდა რომ მისი მუშაობა საზიანო იყო პარტიისათვის, მაგრამ ის ვერ ითმენდა, როცა მას ნატაციებს უკითხავდენ, და წესიერებისაკენ მოუწოდებდენ... ის ხომ ძველი რევოლუციონერი... ის ხომ წინად თავისუფლებისათვის იბრძოდა. სხვას უნდა ასწავლიდეს ჭკუას, მას კი სხვები ასწავლიან, ის ვერ შერიგებია იმ აზრსაც, რომ მას დღეს ხელმძღვანელობას არ ანდობენ...

— მაშ, ასე, შენი წარსული ისტორიისათვის მიგვიჩვენია, — უკანასკნელათ უთხრეს მას,— დღევან-

დელი შენი მუშაობა კი პარტიისათვის საზიანოა და მიუღებელი“.

და ონისიძე საკანტროლო კომისიის დადგენილებით ანტიპარტიულ მუშაობისათვის პარტიიდან იქნა გამორიცხული...

თუ წინად ონისიძე ვერ წარმოიდგენდა მის არსებობას პარტიის გარეშე, დღეს ის ამ მდგომარეობას შერიგებოდა, და კმაყოფილიც იყო, რომ საკანტროლო კომისიაში აღარ

იბარებდენ და „ნატაციებს“ უკითხავდენ. იყო ფაქტობრივად დრო ოჯახში და იგონებდა წარსულს, როცა „თავისუფლებისათვის ბრძოლით“ იყო გატაცებული.


„თავისუფლებისათვის“ მებრძოლი წარსულში დღეს ვერ შერიგებია პროლეტარულ პარტიის დისციპლინას და გ.წ.ე გამდგარა.

პარტია არ ნანობს მის დაკარგვას. **უშგებარა.**

გზის გაწმენდა



მუშა (მემარჯვენეს და „მემარცხენეს“):— თქვენ მართლაც ასეთი მარჯვენე და მარცხენე გადახრა მოგიხდებათ, რომ წინსვლა არ შემიფერხოს!



1921 წ.

მოვიდენ.

ჩვენები წავიდენ.

გადავწყვიტე — დღიური ვსწერო, სხვა რა საქმე მაქვს! საქონელი გადავამალ-ვაშოვმალე დავთარი ვაკოტრებულ ვაჭარივით. ასე სჯობია, თორემ...

ოჰო! ნებია?! ეს კარგი საქმეა! გადამალულ საქონელს ისევ დავაწყობ მაღაზიაში და ვივაჭრებ. ბევრ მოგებას ვინ ჩივა ამით ხელში! მხოლოდ სახარჯო, სხვა არაფერი მინდა. ასე თავს ვავიტან ამ ორ თვეს და მერე... მერე მოვლენ ჩვენები, აბა, რას იზამენ! აკი დიბარეს — მალე დავბრუნდებითო. ხომ არ მოიტყუილებენ! ტყვილი რაც ამდენხნსაც იტყუილეს, ისიც ეყოფათ.

1922 წ.

არა უშავს. ამ ნებმა სულზე მოგვისწრო, თორემ წასული იყო ჩვენი საქმე. მართალია: გადასახადები ბლომად შემოგვაწერეს, მაგრამ რა ვაეწყობა! მაშ რისი ბოლშევიკები არიან!

კოოპერაციას სერიოზულად მოჰკიდეს ხელი, მაგრამ არაფერი ვამოყავთ. სანამ კოოპერაცია გაძლიერდებოდეს, ამასობაში ჩვენებიც მოვლენ.

1923 წ.

— ეს ჩვენ გეკვირიანო! — და მაღაზიიდან გამომხარბანეს. წაიღონ ეს მაღაზია, ხოლო სხვა მაღაზიებს ნუ წამართმევენ.

ერთი სიტყვით ისე გამოდის, რომ ჩემს ვაჭრობაში მონაწილენი არიან. გადასახადებით გვერდები შემოიხელეს. კოოპერაციაც ხომ ძლიერდება!

1924 წ.

დავთრები დამალული მაქვს. ანგარიშს ჩუმად ვაწარმოებ, ცოლთანაც კი არაფერი წამომცდენია... მაშ საიდან გაიგეს სისწორით ჩემი შემოსავალი და წლიური ბრუნვა, რომ ამდენი შემაწერეს გადასახადი? ეჰ! თუ ასე წავიდა საქმე, მალე მომიწევს მაღაზიების მიკეტვა. ანდა რა დამრჩა, ხუთში მხოლოდ ორი.

კოოპერაციაც არ იკმარეს. ათას ბანკებს და სავაჭრო ორგანოებს აარსებენ, თითქოს არც კი ფიქრობენ წასვლასო.

1925 წ.

„დააიგვივაანეს... ააღრსა სჩანან“.. რა კარგი სიმღერაა! ალბად ეს მენშევიკებზეა თქმული. წავიდენ და დაბრუნებაზე აღარ ფიქრობენ. არა, თუცაღა კი ფიქრობენ, მაგრამ...

ეჰ! მახლას! რა დროს მათზე ფიქროს.

ეს ერთი სავაჭრო-და შემრჩა და ისიც თითქმის ცარიელია. დამჩინეს. წყალი შემოყენეს.

1926 წ.

„წამხდარ საქმესა რას არგებს ბოლო დროს თითზე კბენანი“. — სწორედ ჩემზეა თქმული. არა, თუ სულელი არ ვიყავი, ვერ მივხდით, რომ ამათთან ჯიბრი ხეიოს არ დამაყრიდა? „დღეს წავლენ, ხვალ წავლენ... წავლენ... მაგათ ჯინაზე არ ვავენებებ თავს ვაჭრობას“. — ვიძახდი და შემონახულ ფულს დიდი-დიდი ვაგებდი თავნიდან.

კოოპერატივი ცხვირის წინ გამომიჭიმეს. ქლეკი გამიჩინა მისმა ცქერამ. გააფართოვეს კოოპერატივი და ეს ჩემი სავაჭროს კედლებიც შემოანგრიეს. შენ მიბრძანდიო! — მითხრეს. (ასე ითქმება, თორემ „მიბრძანდიო“ კი არა, პანლურის კვრით გამომაგდეს).

1927 წ.

შრომის ბირჟაში ჩავეწერე. ბევრი ვნახე იქ ამხანაგები, როგორ იდგენ ჩასაწერათ.

შემრცხვა, მაგრამ რას ვიზამდი, გავიტანე ბაზარზე და პალტო გავყიდე.

1928 წ.

ალარაფერი დამირჩა გასაყიდი, ბინის მაკლერებმა დამიწყვე. თავს ამით ვირჩენ. ეჰ! სად არის ჩემი დრო, როცა ფულებით სავესე მქონდა ყუთები.

პრინციპიალურად არაფერს ვყიდულობ კოოპერატივში. მირჩვენია კერძოში („ჩვენი ძმია“) სამმაგი ფასი მივსცე, ვიდრე კოოპერატივს ვახეირო. მაინც როგორ სოკოსავთ ვრცელდება კოოპერატივის სავაჭროები!

1929 წ.

ვაჭრებს ტყავი გაგვაძრეს და თვითონ დაიწყეს ვაჭრობა. არ გამართლდა ჩემი იმედი, რომ — კომუნისტები ვერ გაუძღვებიან ვაჭრობას-თქო. ყველაფერში ისეთ უნარს იჩენენ, რომ, ასე გეგონებათ, ყველაფრის მცოდნენი არიან, და კიდევ არიან.

ეჰ! შეძველობა უნდა დავიწყო, თორემ სხვა საღსარი აღარ დამრჩენია.

1930 წ.

დავდივარ ქუჩა-ქუჩა და გავიძახი: — „სტარია ვეზნი ხარა-ხურა ჰაკუბაიუ“.

ეჰ! ცხოვრებავ, შენ რა ვითხრა! ამ რამოდენიმე წლის წინად რომ საქონელი გამოიყიდნია, ისე იმას ვყიდულობ ნახარსა და დაძველებულს.

იქა-აქ საღაც კუნჭულში კიდევ დარჩენილან კერძი მეწვრვალნანები. სულს ლაფავენ. ახია მათზე რატომ ჰყიდიან ასე ძვირად. კოოპერატივში რომ საქონელი 35 კაპეკი ღირს, ისინი მანეთად ჰყიდენ. დღეს უნცროს ბიჭს ვსცემე, რომ კალბასი კერძოსთან ვყიდა და არა კოოპერატივში; საქონელიც ცუდი იყო, და ფასიც ორმაგი.

6 ივლისი. დღეს კოოპერაციის დღეა. რატომღაც


სრულიად შემთხვევით წავაწყდი ჩემს დღიურს. გადავიკითხე თავიდან ბოლომდე (1921—1930 წ.) სასაცილოა, მიუხედავად იმისა რომ შიგ ალწერილია ადამიანის (ჩემი) ტრალედაა.

აი, შემთხვევა, როცა ტრალედა კომედიით ხდება და სიცილს იწვევს.

ისელი



აფხაზი და წარსული



სასადილოს მსახურნი (მოსადილებს):—დავაცადეთ სადილის კამა.. ჯერ ჩვენ ვსადილობთ!

სიტყვა მუშაკოვკის მწვანეზე

არის „მუშაკოპი“ უძრავ-მოძრავი
და განსხვავებაც არის მათ შორის:

ერთია—სახლი, როგორც რომ ზევი,
შორითვე რომ სჩანს სიფართოდ გორის.

აუარება რომ გააჩნია

თარო და მაზედ—ჩეჩუტ-მეჩუტი:
საჭმელ-სასმელი, მსხალი თუ ბია,
მზერით მუცელიც რომ დაეჩუტვის.

და დახლიდარი, კაცი ზრდილობის,
რომ გზვდება, როგორც ვინმე მოკეთეს,
მძლევი სურსათის თუ მწვანეობის,
თვალი რას ნახავს ამის უკეთეს?!

ზოლო ყურები რაღას მოისმენს
უფრო უთაფლეს სიტყვა-პასუხებს,
რასაც ის კაცი მკერდიდან იღენს
და თქრო ბავით მოაჩუხჩუხებს?!

და სტკებები მარტო ამის დაწახვით,
და ძღება ხარბი თვალი და გული,
დამძიმებული ნივრით თუ ხახვით,
სახლში რომ შეხვალ შეხაერებულნი...

რაღვან ამ ხაერსა, ქცნობას და ზრობას

ბტარებს უკვე შენი მწვანელი,
დებით რომ ქმნიდა აქ უაზრობას,
შვიდი დღე ბახით შემოტანილი...

და დახლიდარი რომ არ ჰფიქრობდა
ზედ არც წყლის დასხმას, არც ცინულთ დებას,
თუმცა კი წყურვილს ის წყლით იცხრობდა
და ცინულითაც—ხაზულის გზნებას...

ახლა—მეორე: ჯავგია, ტაჩკა,
შიგ ვირ-შებმული, მოძრავი, სწრაფი,
რომ ალაგია ზედ მთელი ბახჩა:

ქორფა მწვანელი, თუ კიტრი, თქლაფი...
და ბახჩოც, კაცი ტაჩკის გზირივით,

რომ აყუდია ამ ჯავგის გვერდით,
სწრაფია ხოლმე ისიც ვირივით,
დიდის ყურებით და ფართო ხედვით...

თუ გაჯიუტდი და არ ეთანხმე,
რასაც ის გეტყვის ან მოგაწოდებს,
გადადინდება მსჯელობის თავ-მთხლე,
წასულს ის ვირიც კი შეგიცოდებს!

და ბახჩოს ენაც სიტყვას მოსწრებულს
მოგიჭრის ისე, ვით მაკრატელი:
მიითვლის შენგან ის ფულს, ბოსტნეულს,
ვით გზირი, და არ, ვით გამყიდველი!..

და ამბობ გულში: „წესი კარგია
„მეზნაპროსობის“ თუ მტკიცე ნიხრის,
მხოლოთ არ ვიცვი, ვის რად არგია,
თუ რომ ფულს კაცი დამპალში იხდის!

მუშტარს შეეძლო იგი ეყიდა
უფრო ახალი, ქორფა და ნორჩი,
გამყიდველს ცუდათ რომ არ ეყვირნა
და არ მიეზრო ძირი თუ ფოჩი!..“

ვიცი, რომ ჩვენში უხვად იზრდება,
ხილია იგი თუ ბოსტნეული,
მხოლოთ დამპალით ვინ გამდიდრდება?
ვის არგებს უგზოდ მიმოპნეული?!

საგაგალითო პატივისცემა

ნაგავილი ამბავი.



ეს მოხდა ღამის სამ საათზე, როცა მთელი ღამის განმავლობაში ბალონ-ჯოებით და რწყილებით ტანდა-ლადრულ მტხოვრებლებს ძლივს მიე-ძინათ.

არ ეძინა მხოლოდ უბნის დაულა-ლავ მკოილს, ღამის მორიგე მილიცი-ონერს. ძილს გმირულად ებრძოდა, ღამის ბნელი ძალები, რომ არ გამო-პარვოდა. ხშირ - ხშირად გაივლიდა მაღაზიის წინ და უზარმაზარ ბოქ-ლომს წამდაუწყებ ამოწმებდა. ბოქ-ლომი არხინად ეკიდა თავისთვის და მილიციონერს თავის სიმაგრეს მე-ათასჯერ უმტკიცებდა.

მიუხიდავთ მილიციონერის გმი-რულ სიფრთხილისა, არ ეძინათ ღა-მის ბნელ ძალებს, ქურდებს, კოოპე-რატივის უკანა კარებთან უნჩხუ-ლი მილიციონერის ყოილ მოძრაო-ბას მათემატიკური სისწორით ათვა-ლიერებდნენ. მილიციონერმა კიდევ ერ-თხელ შეამოწმა ბოქლომის სიმაგრე და ღიღინით გზას გაუღდა.

ქურდსაც ეს უნდოდა: სწრაფად მოიპარავდა სა თარი წარმოების ია-რატები და ელვანზე უსწრაფისად, სრულიად უხმაუროდ მაღაზიას უკანა კარები ჩამოაცალა (ხოლო ბის ტეხ-ნიკის უკანასკნელი მიღწევა). შეიტა-ნა შიგ უშველებელი ტომარა და რაც მის ქურდულ გემოვნებას მოეწონებო-და, ყველაფერი შიგ ჩაუშვა.

მილიციონერი ისევ დაბრუნდა. ისევ შეამოწმო ბოქლომი და ღიღინს მოუმატა, ქურდმაც თავის მხრით ჩა-მონხინილი კარები თავის ალაგას ისევ კონტად ჩააჯინა. მოიღდა ზურ-გზე ხუთფუთიანი ტომარა და გზას გაუღდა.

უცებ თვალი მოჰკრა შორი - ახლო, მილიდინე მილიციონერს. ქურდები საერთოდ ჭკუა - მახვილობაში ძალ-ზე განთქმულები არიან.

ქურდი შესდგა წუთით, აზრები ამოძრავდა ამ დროს მილიციონერ-მაც მოჰკრა თვალი და ის-ის იყო უნ-და დაესტენა მის დასაჭერად, რომ უცებ ქურდმა მიწაზე ბრაგვანი მოა-ღინა, ხუთფუთიანი ტომარა ზევით დაიგორა და ყვირილი მორთო:

— მიშველეთ, გავიჟყულიტე!

გულკეთილ მილიციონერს შეებ-რალა ტვირთქვეშ მოყოლებული ა-ცი. სწრაფად გაჩნდა დაზარალებულ-თან და თანაგრძობით დაუწყო ქაჩვა ტომარს. ვერ მოერია და იქვე მდგომ შეეზოგეს დაუძახა და ორივემ შეერ-თებულნი ძალით ააყენეს აკენსებუ-ლი ქურდი.

ქურმა ოფლი მოიწმინდა, ამოიხ-რა და აკრემლებულმა წარმოსთქვა:

— ეს რა უდროოდ დავსწეულდი.

წინედ ოც ფუთსაც ავწევდი და ეხლა კი ამ ხუთფუთიან ტომარის გადატანა სადღურიდან მის სახლამდე გამიჭირ-და, თუ ძმა ხარ, დამეხმარე, ეს ტომა-რა ზურგზე ამკიდე ისევ, თორემ დავ-გიანდები.

ტომარა ისევ ზურგზე აკიდეს.

ქურმა მილიციონერს მადლობა გა-დაუხადა და გზას ჩანჩალით გაუღდა. გულში კი ფიქრობდა:

— ოღონდ ბოქლომი ხელუხლებ-ლიდ ეკიდოს და შიგნით რაც მოხდება ამის დარდი მილიციონერებს არასო-დეს არ ქონიათ.

მილიციონერმა ერთხელ კიდევ „შეამოწმა“ ბოქლომი და დაიწყო შორი - ახლო სეირნობა.

ვირთხა.



— მასწავლე, თუ ძმა საა, რამ მო-გირჩინა სმენა - დაწმული ყური?

— რამ და, ერთი თვეა რადიოში არაფერი ისმის!

ქუთაისიდან

აწი მე რო მატარებელში არ შევ-დგა ფეხი, მეტი არაა ჩემი მტერი!

რაც ეშმაკ ტფილისში მომიხდა წასვლა, შემოუჯიქი ერთ მატარე-ბელს და ევაყოლე ტფილისისკენ.

ღამეა. კართოფლის სანთელი ანათებს ვაგონს. ყოლგან ელექტრო-ნი გაყარ და აქანე ჯერ ერთი შუშის დაკიდება გაუჭირდათ? ვეცა საქმე?

ვარ წამოპლაკული სკამზე არ-ხეინა. კანდიტორი მოდის და მიძი-ნებულ ხალხს უყვირის:

— ლიხი, ლიხი... ბარგს გაუფრ-თხილდით, არ მოგპარონ!

დაბლა ჩამოვედი. ხაბაკს ვშინჯავ. ფეხები მიჩატება. ვხიდავ: ჩულქე-ბით დავიარები ამხელა კაცი. ვიკარი თავში...

— აქამდი გეთქვა შე ოჯახდაქე-ულთ!

ფარით მოახლოვდა კანდიტორი. — მოუპარავთ! — ამოწმებს ის.

— შენ გეპარე შენ პატრონს! — ვჯავრობ გუნებაში, მარა რათ გინდა. არ ვინდა კაცს იღბალი, ერთხელ ჩევედი ტფილისში და მაშინაც ში-შველი.

ბილეთიც ქე გამიხუნდა, — კაცი არ შემომკარებია ვაგონში.

უკან დაბრუნებისას, ზესტაფონში მივლულე თვალი.


— კობიტარო! — ყვირის კონდუქ-ტორი.

— ვაი ქუთეისო! — გვევილე გულ-ში.

ჩამოვბტი კობიტაროში, შემოუჯე-ქ მერე დოთს და ქე ჩევედი ქუთეა-ში. ღმერთმა დალაზეროს ამფერა მგზავრობა. მეტი არაა ჩემი მტერი, მე აწი ქუთეისიდან ფეხი არ ვადავ-დგა. ერჯენ ქე ვადურჩი და მეორედ დასაქარგავი თავი სად მაქვს, ბიძია!

ბახო.

წოვიართი კალაქების და რკ. გვ. სადგურების



სანიტარი

ზამთარია, სიბო გინდა, ბუხარი კი არ გაქვს შენა, საცივე, რომ გაგამწარებს უნდა იწყო კვენსა, ქშენა. და ამ დროს კი დიდ საწყობში ხედავ ნახშირს მთელ გორასო. რა ვუყო; რომ „წამისქნავ“ რალაც ვედროს გინდ ორასსო.

ეს ქვეყანა დუმა არის, იმას მოსთლოს კარგი მთლელი. ესტკვათ, რომ სახლში ნავთი „ფინი“

და არა გაქვს არც სანთელი, სიბნელეში აუნა ხომ კი, საქმე არას ერთობ რთული. ჩინსკენ თუ გაიხედავთ, ცისტერნა დატვირთული. რა ვუყოთ, რომ ეპოს არის, თვით ეპო ხომ ჩვენაო, დაბნევა კი რას მიქვან, ან და რისთვის „გრცხვენიაო“. ადი მალა, დაჰკა კლაბანს, ნავთიც იწყებს დენასაო,

(აქ სიჩუმე საქაროა კბილს დაეჭირ ენასაო). ჰქარე ნავთი ღამით სახლში, თავზე თუ გაქვს წითლად ქული. ეს ცხოვერების რეცეპტია, არ გეგონოს საქმე მრული.

ეგებ სადგურს უყენია— ღვანო მთელი დატვირთული. აქ კი გმართებს დაფიქრება, საქმე არის ერთობ რთული. მოვა შენთან გამგზავნელო, და გთხოვს საქმის შევლასაო. მოფერე ღვინის პატრონს, მოუხშირე ხველასაო. გამოუტყდი და უთხარი, (ნუ აქნები კვლავ სათუთი): —გაგზავნისთვის საქიროა, „ჩეთვერები“ ბარე ხუთი.

ნავთიც ქე გაქვს და ნახშირიც. თბილ ოთახში წრუბე ნელა, ხასანბეგურ რაშო რეროს. მაყოლე დელი-დელა.

გამვლელი.

კრაველი.

აჭარული სცენა

მეჩქე იღბალი მქონებია, რომ ვადავრჩი და ცოცხალი ვარ ინსანი.

წავედი ჰოვ, მთაში. მუდამ ვმუშაობდი დარში და ავდარში. მიჩინია სიცხე, ბევრი წაშალი ვიცხე, არაფერმა მიშველა, მომეცა ხველა, წამოვედი შინ, ჰოვ, და დავწვი ლოგინში.

ვიმჭირდა ლაპარაკი, ჩემი ბაბი იყო ძველი კაცი, წვიდა და მეიყვანა ხუსეინ ეფენდი. შეიხვეწა, ჰოვ, შვილი მომირჩიეო.

ხუსეინ ეფენდი დაჯდა ჩემთან, დაახველა მაგრად და სთქვა: — შოფელი ვარ, რას მორჩნო, ამას ხავსოთ ჩამეფრალა შეითანი და ამას უნდა ნუხსა და ხეხანაირი წამლობაო.

— ფაშა ეფენდი მიშველე და ფარას მოგართეო.

ხუსეინ ეფენდიმ დაწერა ნუხსა, გალესა წყალში, ჩამისხა პირში და წავიდა ქვევით. ანუვასხი წევით და ვაუვირე — ნუ დამახრჩობთ მეთქი.

— შაა, შეითანა შეწუხდაო.

კისრის ტკივილმა იმატა, მიტრიალებდა თათან გახურებულ რკინას, მარა არ მოვრჩი.

მევიდა, ჰოვ, ჩემი აფხანაი, მეიყვანა ექიმო, ექიმმა ჩამხედა კისერში და თქვა ამას წიტი აქ და უნდა გეიჭრასო. შეითანი გაქრით რუა მოიკვებაო, ყვიროდა ხუსეინი, მე იმას ნუხსით ვაპქვევო, შენ კი ამ კაცის ოჯახს დააქვევო. ექიმმა დამაღებია პირი, გაჭრა წიტი, გამომარეცხია წყლით პირი, და დავიწყე ლაპარაკი.

ალთი მუქურ მოვრჩი ჰოვ, კი მქონებია ყისხეთი, ხშირად ტყუვდება უსწავლელი მილეთი.

— სადა ეხლა შენი შეითანი.

— მიამ ზა ექიმმა ხუსეინს, მარა ხუსეინი გეიპარა, ჰოვ, და ოცდახუთი ლირაც ტყუილად წვიღო.

ბუზგამუტი.

ზოგნი რამ (ბათო.მი)

ვათავდა თუ არა მასწავლებელთა რაიონული კონფერენცია, ხულოდან პირდაპირ ტფილისისაკენ ვქენი პირი.

— ბენ დოდრი სოლიერო, ეს შერე კონფერენცია შედარებით ცოცხალი იყო. თვით სამდივნო ამუშავებდა რეზოლიუციის მოსმენილ მოხსენებების შესახებ, და არა თვით მომხსენებლები თავიანთი მოხსენებების შესახებ, როგორც ეს პირველ კონფერენციაზე ხდებოდა.

წელს ხულოს რაიონში დიდი მუშაობა ჩატარდა კოლტურულ რევოლუციის ფრონტზე და ასეთივე მომავალშიც მოსალოდნელი, მაგრამ თუ განსაკოში და განინსპექტორი სწავლის დაწყებამდე არ შეუდგა ცხრიანა ნაკლებ ზოგიერთ მასწავლებლების გაფრთხილებას, თუ დროზე აღაგმული არ იქნა არუნ ბოლქვაძისებური „გლეხთა გამოსაფხიზლებელი“, რიყეთის თემის მასწავლებლებისათვის საქმოდ ცნობილი სასკოლო „აგრიტაციები“, მაშინ საქმე ვოლაიდა დაბრკოლდება გოლაიდა...

ესიკელეს კვიცივით გამოემევა ავტომობილი ხულოს დაღმართიდან და გლოჯინგლიჯინით შემოვიჭერი ბათოში, მაგრამ ზოვლი ჩამტვრული კი ვიკავი.

ბათოში კი ქალაქია, ყველაფერი რიგზეა, მაგრამ პოლიგანში შერ არის ყველაფერი რიგზე.

წამოხვდარა, შენ ხარ ჩემი ბატონი, ვინაა თერ ბლუზიანი ქაბხი ბერაიას სკამზე და დაუწყებია თვადები. ხელფახის მოცემას ვინ ჩიოდა, რომ ლანძღვით გარეთ არ გამოყვდენე.

— დრო არ გვაქვს, ამხანაგო, გარეთ მობრძანდით, გარეთ! — წამოილუყულა მან და პირგამზრალი გამოიღენა გარეთ. ამოილო უჯრიდან ვიდაცხს ნაჯღაბნი ლექსები და დიწყო კითხვა.

იანო.

ტელეფონთან

საზამინასარი, ზურიან

ფ.-ტელ. გამგის ნებართვით ავლენ ტელეფონის მილი და დავუტრეკ საქამიასერს, მიუხედავად იმისა, რომ დაუწყობელი არ ვიყავი ღამის ორ საათზე იქნებოდა თუ არა ვინმე ფოსტაში.

— საქამიასერო. საქამიასერო?

— ჰო, ვინ იძახის? ა? — მომესმა ხმა.

გამეხარდა.

— კოლია ხარ? კოლია, გამარჯობა, ბიჭო შენი.

ხმა მიწყდა.

ნუ მოკნეი ნუ მეხვევი, ვინმე დაგინახეს ლამპის შუქზე! — მომესმა ტელეფონში. გამაცოცხა, ვიფიქრე: ხომ არ გაგიუდა ბიჭი-მეთქი.

— შა! საქამიასერო, რაცა ჩაგიწყდა ხმა...

კოლია, კოლია.

— ჰო, საქამიასერო, გიცანი, ბიჭო, საიდან მოხვედი მაქ?

— კოლია, როგორაა საქმე? გადახუხვის კამპანია ხომ ისევ ძველებურად არის? ხომ მუშაობენ კონტრტორად გოგი, დათიკო და ნიკოლოზი. შეჯიბრებში ჰყავთ გამოწვეული ერთმანეთი, თუ ვინ უფრო დიდ ხანს გაძლებს სასადილოში და ვინ მეტს დალევს?

როო! დათიკო ფოსტიდან „განთავისუფლეს“ გადახუხვისათვის? განთავისუფლეს და ეხლა კოლ. სასადილოს გამგეა. მსაც ეს ურჩევნია? თითო მოსადრეტთან თითო ჩასი ქიქა ღვინოს სიამს?

— საჯეგაზო, საჯეგაზო, — ჩამესმა ყურში კონდუქტორის ხმა. გამომეღვია, საჯეგაზოში ვიყავი.

მეურე დღეს ავედი საქამიასერში. გოგი, (ფარმაცევტი) ნიკოლოზი (თემე, მღვინი) და კოლია ფ.-ტელ.) სასადილოში ყირაზე გადადიოდნ. ზოოს პარტურების გახსნა გაეწყობოდა, ზოგს წამლის შემზადება.

ორი „მოხალისე“ ერთიმორეს „მურად“ კოცნიდნ. კირილისონ.

სიმართლე უნდა იქნება, რომ ფა-
სისტების იმპერიალისტურ ქვეყ-
ნებში დიდ უკრაინულს აქცენს
თავიდანვე.

ჩვენში ფაშისტების მიზანია—
მასის ფაშისტობა.

იმ კი ფაშისტურია უმთავრესად
ემსახურება ბურჟუაზიას, ვაითობას
და ზოგიერთ შემხვევებს, მათი
ჯიბების გასუფლებს ხაშქსაც.

უწინარეს ყოვლისა თვითონ იმპე-
რიალისტები არიან საუფესოსა
ფაშისტურულნი.

მათი პოლიტიკა და ურთიერთობა
აგებულია ფაშისტების მკაცრ
პრინციპებზე.

ყოველი იმპერიალისტი ამავე
ღრის დახელოებულნი ფაშისტ-
ტურულა უნდა იყოს, ფაშისტურ-
ული, რომელმაც უნდა იცოდეს
ფაშისტების ურავლი დაფა-
შობა უფროსი ტურის საბოლო,
დისკოს სროლა, ტირი, რუბლუო,
ბოქსი და სხვა.

თუ ჩვენ ღრმად ჩაუვყარდებით
ფაშისტების ვიჯელობის სხვა-
დასხვა დაჩქარ, დღეინახათ იმპერია-
ლისტის თანდათანობით განვითარე-
ბას.

იმ, მივალთ:

სტომა ჯოჯობი—სეთი ვარჯე-
შობა: ერთი წყურტიდან მეორე წყე-
რზე გადახმობათ: სპორთია
მეორეა ჯოჯობი, რომელიც დივიანს
გაიქრავს თვის (ჯოჯობის) სიბო-
ლონი და შემდეგ მეორე მხარეს გა-
დასვას. ეს ალბად გამოვირბულია
იმპერიალისტების მიერ ჯერ კიდევ
მანამ, როცა ნაყოფნობა ვრ იყო. ამ
საშუალებით შესაძლებელი ხდებო-
და თავისი ტრიტურატიდან სხვის
მიწა-წყალზე გადასვლები. (ნახ. 2).

დისკოს სროლა—ეს ალბად იმ
ღრის, როცა იმპერიალისტს არ გა-
ჩნდა 42 დივიანი ლეონდო
ზარბაზნი. მაშინ ალბად არც თვით-
მფარევენი მჭინდნენ, რომ დივი-
ის ჩასხვა და ზეცის წყალობა უფშა-
რები ჩამოვარდნით დასაქრობ დე-
გულბენი. (ნახ. 4).

სურვა—ჯერ-ჯერობით ყველა-
ზე უფრო მნიშვნელოვანი ვარჯე-
შობაა ინგლისი დღეში ყველას
სჯობდა ცურვები (სხვის მიხედვ
ითულები). მაგრამ იმის შემდეგ
ამერიკა არ ჩამოუვარდნად მას, მათი
კრისერები თავიდან ფეხებამდ
ზარბაზნებით შეიარაღებულნი, ცრ-



1- სინიი




2- ისინი სროლა



3- სურვა



4- ბინი



5- ბრასი

თი-მეორის ცეცხლს და უკრაინურ
ერთმანეთს რეკრემი ჩაერთო
(ალბად ახლო ხანში მოხდება მათი
„მეგობრო“ ცურვები). ამიტომ
ვით დასრიალილნი დასრიალნი
რომ სივრცეში დასრიალნი მას
მიწა-წყალს დასრიალნი

ბინი—სროლა ნაშენში, სროლა-
ში ვარჯიშენ. იმპერიალისტები იმა-
ვით ემსახურებიან... მათი ბინი
ჰქვით ერთმანეთს მტრები არიან
და ამავე დროს—მეშაბა კლასის
ამერიკა, ინგლისი, საფრანგეთი,
იტალია და სხვები უნდა იმედ
ხეირტენ ახალმშენების მცოდნო, რა-
მდებრ მათთვის ტრის საზომობებს
წარმოადგენენ.

— დასუფლებული სროლა მათ
წინააღმდეგ ვეჭრობა ჩვენ. მაგრამ
მათზე ვიჯელობით ის არ სჯობია—
აშობენ სთინი. (ნახ. 3).

ფუბაზლი (ანუ ფუბაზობი)
ურთიერთობის ვიჯობისთვის ეს
ვაიჯობა ყველაზე უფრო საინტე-
რესოა. იმპერიალისტები ერთმანეთს
ცეცხლობენ ჩვენი პლანეტის (დედა-
მიწა) ხელში ჩასვლებად. ერთმანეთს
სწორად უმჯობეს მოგვიტლეს და
ვანტეს, რომ მტერი დაიქრეს
(ნახ. 6).

ბოქსი—იმპერიალისტურ ქვე-
ნებში ყველაზე უფრო ვარჯელ-
ბული და საყვარელი ვარჯიშობაა.
მაგრამ ბოქსი უმთავრესი მნიშვნელო-
ბა უქვია პოლიტიკაში. ბოქსი ყვე-
ლაზე უფრო ხმარებაში „სამშვიდო-
ბო“ კონფერენციებზე არის. უმჯე-
სად ასე ხდება: ორი მომარაბი
(ამერიკა და ინგლისი, იტალია და
საფრანგეთი) გამოდიან ერთმანეთს
წინააღმდეგ და ერთმანეთს ცეცხ-
ობის ამტრევენ. შეურცლებული
ქვეყნის დღეებში: ვინც კი უ-
დავენ რომელიმე გამარჯობა
იქნენ თავისი თანაგრანბნი—თუ
მტრეკამ ვიჯობავს, მაშინ თუ
დღეს დამეფრესო, (ნახ. 6).

სინილი—ამ ბოლი ღრის იმ-
პერიალისტები სობილის ვარჯე-
ობას განსაკუთრებულ უკრაინებს
აქცევენ, რადგან მათი სწორად უ-
ბლებით გამოქვეყნა აგრანტულ ახალ-
მშენებიან. ჯერ-ჯერობით სობილ-
ში პირველი ჯილი ინგლისის ცეცხლ
ნის ტლანბი მიიღო ინტელისთ
(ნახ. 1)



—პარტიაში არ მღებულობენ: ყოფილი ვაჭარი ხარო!.. აკი ლენინი ამბობდა, რომ ვაჭრობა ყოველმა კომუნისტმა უნდა იცოდესო?!

სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის საპარიკმახეროდან ხმაურობა ისმოდა.

— შევარცხვინე შენისთანა მომავალი ინჟინერი. რად არ გრცხვენია შე უნამუსო — 200 მანეთი გამომართვი კონტრაბანდას მოგინატო. ესლა აღარც საბჭოთა ნაწარმოები მოგატყეს!—მალაღი ტონით ეუბნებოდა პარიკმახერი ვიღაცა ახალგაზრდა ხმელ ხმელ ვაჟს.

— შენამი ვეღარ მოვალწიე. გაიგეს თუ არა — ალექსანდრეს ბათობიდან კონტრაბანდა მოატყესო, დამესია ნათესაობა და ხელიდან გამომგლოჯეს.

— მე ხომ გითხარი საეშმაკოს ნუ მოიტან, ჩვენებური იშოვეთქვა!

— ძველი ხელობა ვერ დავთმე. იმ დღეც ვიყავი კარგი ზორბა მოგება აქვს და...

— მე რას მიპირებ ესლა?

— ამ კვირაში კიდევ ჩამოვიტან. დამხვდი ვაგზალში.

— შენმა მზემ! გინდა ჩამავლო ხლაღორთში. მაგისთვის თავს არ გავილანძლავ. ჩემი ფული დამიბრუნე. ადგილობრივ საქონელს ვიყიდი; კონტრაბანდას არ ჩამოუტვარდება.

— ფული, კაცო, გულში საღამოს 9 საათზე ტრამეის ვაგონში ვიღაც უსინდისო ჯიბეში ანომაცალა.

— ნუ მიტარავ, ფული ჩქარა!

— არ გაძლევ, რას მიხამ თუ იცი? ძმა პროკურორი მყავს და შენისთანები რას დამაკლებენ! — სიტყვა ახალგაზრდა ვაჟმა და კარები გაიჯახუნა.

— ვინ არის იგ ყმაწვილი?—ვიკითხე მე.

— ალექსანდრე ძაძაძე, ლენინის სახ. პოლიტენიკური ინსტიტუტის სტუდენტი, კონტრაბანდისტი; კულაკის შვილი.

— როგორ თუ სტუდენტი, განა ასეთი კაცი სტუდენტის მოწმობას კიდევ ატარებს?!

ძირულები თაღა.

გ ა მ ო ს ა რ ჩ ე ნ ი

ჩვენი სოფლის ჩაინდი

თუ თქვენ გავლა მოგინდათ სოფ. ბუკის-ციხეში (ოზურგეთის მაზრა), აუცილებლად გაიგონებთ სიმღერას:

ვისაც რა უნდა ისა სიტყვას,
სულ სხვაა ჩემი ტრფიალი.

მიყვარს ჩხუბი და მუშტების
წალმა-უყუღმა ტრიალი.

იცნობდეთ! ეს განლაეთ არტემ (არტიმონ) ჩხიკვაძე-დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ადგილობრივ კედლებს ამშვენებდა ასეთი განცხადება:

**მკრძალვება გლახაკოვში შესვლა
არტემ ჩხიკვაძეს
საბჭოს პრეზიდიუმში.**

ვინ მოსთვლის გლახაკოვში არტემის მიერ ჩხუბისა და სიმთვრალის დროს ჩამდენი თევში, ჭიქა, ბოთლი და, კიდევ მეტი, თავი გატყუილა?

კოლექტივიზაციის წინააღმდეგ არ გაულაშქრებია არტემს, რადგან „მე ჭკვიანი ვარ, რაც ვიშოვე, შევკამე და ესლა სხვის ნამუშევარს გავიზიარებო“.

მაგრამ კოლექტივში ვის უნდა მუქთა-ხორა!
აი, ასეთი ჩაინდია არტემი, — და, თქვენ როგორ გგონიათ, — სად უნდა იყოს ესლა არტემი?

— გამსახლშიო! — იფიქრებს ბევრი.

— არა, არტემ უკანასკნელ არჩევნების დროს გლახაკოვში გამეგობაში აირჩიეს.

— ორგული ტბაში გადაადგესო! — ნათქვამია.

არტემზე ასრულდა ეს თქმულება.

გ ა მ ო ს ა რ ჩ ე ნ ი

ძირულა.

ხალხი ბაქანზე გამოსულა და იცქირებიან შორაპნი-საკენ, საიდანაც მატარებელს ელოდებიან.

— კი შემოსავალი კი ექნება ამ სადგურის მოლარეს!
— ამბობს ერთი.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ხურდას არავის აძლევს ბილეთის ყიდვის დროს! — ჩაფრია ლაპარაკში მეორე.

— ქალო, ხელდავ არავისთვის არ მიუტკია ხურდა. სამსახური მაქვსო, ამას ჰქვია სწორედ. შეგხედოთ რა კაცია! — და ორივენი წავიდნენ სალაროსაკენ.

სალაროს ხალხი ესეოდა და ვიწრო ფანჯრიდან არ მოსჩანდა მოლარე.

— თუ უცოლოა, ჩემს ნინოს მივათხოვ რითაც არ უნდა დამიჯდეს. ჯამაგირი, მართალია, ცოტა ექნება, მაგრამ ჯამაგირზე უკეთესი არ არის ამდენი გამოსარჩენი!
— სიტყვა ერთმა.

— მარა თუ ქალია, ქალო? შევეკითხა მეორე.

— მაშინ ცოლად შერთე შენს ვაჟს! ამაზე უკეთეს რძალს სად იშოვი. ხომ ხელდავ ჩამდენი გამოსარჩენი ჰქონია.

მატარებელმა სემფაფორს მოაკვივლა.

— ხურდა მომეცი კაცო, აბაზი დარჩა შენზე!


— არა მაქვს ხურდა! — იყო აურ-ზაური სალაროსთან.

მატარებელი წავიდა. მოლარე შეუდგა „ხურდების“ გვერდზე გადადებას.

ახალ-სენაკი, ნახ. კახიანის.
(ამხ-ბა „მეგობრე“)

ნახ. ასცვატაცუროვის

ზორი. ნახ. ხადგურის
გიორგოთაძე




— მამ აბდენი ყველი ვისია, რომ არ მაძღვრე?
— გამგეობამ ნათესავ-ნაცბობებმა-სათვის გადახდო.

— ნუ გეშინია, ობერაცია კარგად გაიფლის. მართალია, ასეთ ოპერაციას მხოლოდ ერთი თუ გადაიტანს ხუთში, მაგრამ მე უკვე ოთხი ზედ-ზედ მომიკვდა.

— კლექტორში არ მსტუობობენ, ნაკენინარი ხარო, არ გამოდგებიო. ჩემისანა მეთვალყურეობას და კაპასობას ვინ შესძლებს ბოსტანში, მომუშავე ქალებზე! ამაში ნამდვილი სპეცი ვარ.

ლანჩხუთი. ნახ. ჩხაიძის

ჭუთაისი. ნახ. ზოფერიძის



— ღორის ყიდვა მინდოდა და ბაზარში ვერ ვიშოვე.
— ბაზარში რა გინდოდა? ვერ წა-ღ, საღგურში?

რკინის გზის სამკითხველოში

რკინის გზის სასადილოში

გამოაშკარავებულ ცოდვები (საზილარ-სენაკი)

— თქვენი გვარი?
— ჯანელიძე ვარაუბი.
— თანამდებობა?
— მასწ... უკაცრავად მარხის ებოს თავმჯდომარე.
— თქვენ პარტიის წევრი ხომ არა ხართ?
— ჰმ... ჩემს დამტკიცებას საშველი არ დაად... რა არ ვიღონე, სოციალური მდგომარეობის შესახებ წარვადგინე უკიდურესი პირობის მოწმობა, მაგრამ მგონი არც შეველა. ჰმ, მაგათი სიქა არ იყო, გა-საღბად, რომ საშუალო ფენას ვეკუთ-და ვიცრუე.
— აბკოთა აპარატის წმენდა გაიხრეთ?
— კი, როგორ არა. ასეთი შეკითხვები ზევრი მომიცეს, მაგრამ მხა-ბიჭების რებით იოლად გავედი, კომისიის თავმჯდომარე ჩემი კარგი ნაცნობი იყო... ვინ დამაკლებდა!
— ირკვევა თქვენ ღარიბი კი არა, საშუა-შეძლებს, ყოფილი მამასახლისის შევი-ყოფილხართ.
— (თავისთვის) ჰმ, მაგათი დედა... (ნას) ვის უნდა სიღარიბე, მაგრამ ცუდი

ღროა, სიღარიბის მოწმობა თუ არა გავქო, დასას ვერ გახვალთ, მეც ამ მიზეზით „გავ-ლა-იპილი“.
— სად გააქანეთ ივნისის თვეში მიღებუ-ლი ტილო და შალი?
— (თავისთვის): — მაგათი დედაც. ისეც სერიოზული გაცემა... ჰმ, ვინ გამცა. (მას) რას უზამდი? განა ცოტა შეყავს ნაცნობ-მეგობრები? ღარიბებს მაინც არ შეეძლოთ საქონლის შექენა. ჰმ! (ნერვიულობს).
— ხომ არ გადაგიცვლიათ იფ-ფსიანი კრებდისში?
— ჰმ... როგორ არა. გავეცი ერთი საკა-ბე, რამდენიმე თვის შემდეგ, უკეთესი ღირ-სების კრებდისში მივიღეთ, და რადღან ნაც-ნობ ჭალს პირველად წაღებული იაფფასიანი კრებდისში არ შექონდა შეყერილი, გა-დაუცვალე იმავე ფასებში. რამდენიმე მა-ხეთს განსხვავებაა, მაგრამ ეს მოხერხებუ-ლია გადატარე წიგნებში...
— ცენტრალურ საეკონომიკო რაიონ უმ-სჯობებს ხომ არ შექონია ადგილი?
— (თავისთვის) მაგათი დედა... (მას) რა

უ-გავსოვებას? ქალიშვილთან არ შეიყობა, ხვეუბა-კოცნა და... ლ. ცაგურია დამნაშავეა იქაში, რომ ვერ მოითმინა და... მარა ეს თუ უხავსოვებაა, მე მთლად დსახერხულად შექონია საქმე. ცაგურია შემწეული მყავს ფაოთლის გადაპარგაში გადაარშინების დ... ყოველ თთ შეტრის გადაარშინებაში მომხმარებლებს უსათუოდ ერთი მეტრო დააკლდებათ.
— ამ უმსგავსოებს წინააღმდეგ თქვენ რა ზომები მიიღეთ?
— თილოდა ეს საკითხი დამესვა უჯოვ-ლის კრებაზე. მაგრამ პროკოფი ნოდიამ ამის საშუალება არ მომიცა.
— პროკოფი ნოდი ხომ არ არის ცაგუ-რიის ნათესავი?
— ნათესავი არ არის, მაგრამ მის ცოლს რიგს გარეშე აძლევს ყოველგვარ საქო-ნელს.
— ახეტებში და „ტარტაროში“ ხომ არ ყოფილხართ გაყურებში?
— რამოდენიმეჯერ, მაგრამ არც კი შეყე-ნია. ღირ-ღირობით ვერაფერი დამაკლ-ს.
უშანხი.

უი გუთუყრა ქვეყნის გამჩენი და
ოხრათ დარჩა თავი მიხელას და ლაფ-
რქნტიას, — იგინმა რაფერ ამა უა-
აქებია ოჯახი და აი, მამასისლათ ნა-
კტავი და ნაწყდავი საყოლი გამა-
ბარტანებიეს.

მივადეჭი და გუთურიე რიარია და
რიეინა რაც ქათმები და ინლოურები
მყავდა, ერთი გოჭი არ გამიშვია
ჩემს ბარაზე სუყველა ოხრის ფასად
მივაყიდე ბაზარზე. (ქე მაინც მე მე-
ქამა). ოი გიერია შავი უამი და მო-
ტინტილდა ჩემი ამომგდებელი.

— ბიჭო და აია ახლა დეიწყო
ქვეყნის ძარცვა - გლეჯაო. კოლექ-
ტივები შემოილეს შიგ ჩავიტყუე-
ბენ, ყოლიფერს ჩამოგართმევენ, გაგა
ტყავებენ და მერე მიყურე ხახამზრა-
ლიო.

რას იზამიდი აბა კაცი. მერე—და
მოლად იგინს რავეა დუუჯერებდი,
რავე ღმერთი გამიწყობოდა, რომ აი
ჩვენი თავგუდომარე არ გამოსული-
ყო ისე მკვახეთ (თურმე არც იგი იყო
არც გუნებაზე). მეც ქე შემძიარა
იჭვი და ქე ამოვარა ოჯახი — მივა-
ყიდე ყოლიფერი და მივადეჭი ძალა
უნებურად მეწველე ძროხასავით და
ჩავეწერე კოლექტივიზი.

არ გასულა რა ბა ხანი და სტალინ-
მა შემოთვალაო, თუ არ გინდათ ქე
ამეიწერეთ, ჩვენ ძალას არავის ვაყე-
ნებთო.

ამევიწერე კიდევაც. დავრჩი ჩემს
ფაცხაში ძველებურად, მარა აი, კე-
სარიე, რომ გამევიდოდა უწინ ყო-
ველ დილას და ერთ ქილა სიმინდით,
რომ დააპურებდა ქათმებსა და სა-
ყოლს, — საღათა ახლა იგი კი არა,
რა რათ ღირდა მისი ერთი შემოძა-
ხება „ქიჭი - ქიჭი“-ს, რომ კრიმაჭუ-
ლით გადიგარგალებდა. მოგჭამა ქი-
რი. გიდილივით აქვს ჩამოგრძელებუ-
ლი ცხვირი ნაცარში, არ გასულა დი-
დი ხანი, და თურმე, ნუ იტყვი, რომე-
ლი ძალა, რომელი ზორი და რა გა-
ძარცვა. ვინ გედავება. ვინ გეხვეწება.
რა გოჭი რა მოჭვა. ვის უნდა, ვის მი-
აქ შენი რამე თურმე.

აი, შენ ოჯახქორა (ხეს ველაპა-
რაკები), თურმე შენთვისაა მისწორება,
შენ თვითონ უნდა შეითხოო მეზობ-
ლებთან ერთად, რომ ჩვენ კერძო-
კერძოთ მუშაობას გვიჩვენია ამხა-
ნაგურად — შეერთებული მუშაო-
ბაო. ამის მეტი რა მინახავს და რა
გამიგონია, რომ მარტოთ ყანაში
თოხით ფუგნას, ორახელაით და ნა-
ღურით ერთად მუშაობა, რომ ჯო-
ბია. შედი, შეაძხანადი ერთად და
გაახვავრიელე შენი ბარაქა. თურმე

ვარციხის საბჭოთა მამულის თა-
ნამშრომელი ვანო ბერძენიშვილი
ერთ ხეს არ გაუშვებს, რომ ნიშანში
ტყვია არ ესროლოს.



— თავს ვუშველოთ, ვანო ბერძენიშვილი მოდის!

იგი კი არა, იქით წვილე ყოლიფე-
რი მოწყობილობა და შენი კავსახ-
ნისი ოცდა ათ სალაგაი რომაა ნაფო-
ტებივით დაკერებული, — მიყუ-
დე კედელზე.
ვირმა რა იცის ხურმა რა ხილაო,
რომ იტყვიან, სწორეთ ჩემზე და ჩე-
მისანებზე არის ნათქვამი, რა ჯობია,
ზოშო, ოცდა ათი კაცი ერთად, რომ
ნადურს კიეინობენ და ერთდ მუშაო-
ბენ. წროულს გვიანია და გაისიზა
თვარ მიმილეს კოლექტივში, ძალით
მივაწობი და გლეჯას გავადენ შიგ
შუა კოლექტივში.

ასე ვიზამ ამას.
მიხელამ და ლაფრენტამ ჩემს
მატყლი ნაცარში.
შირიმბარბარი.


გელაღათა არტელუი

ვალისტე (არტელის გამგე).—ამხა-
ნაგებო და ძმებო. ხომ იცით დღეს
გლესკორმა რომ არ ჩამოიაროს, არ
იქნება. აწ მუწურეთი გავაწბილოთ—
წალ ჰი დაილიათქვა, თორემ ვერ
გავყიდით ზედმეტ ფასებში, როგორც
ყვილით.

ლაღიმე (არტელის წევრი)
უწყსრიგობა დაინახა რამე, გ
გავაწვრს.

ოშა (არტელის წევრი):
წერა, თვარა არ გადაგვაჭრას
ბოლო კული. იიარ არსენ
გაწკრეს, მარა ყურადღობა ა
მ უქიცივია. წავიკითხით. მხო
და მეტი აფერი. ჩვენზეც ასე იქ
წაიკითხავენ, გაიხნეიობენ, გ
და წავა.

ყ უ ბ რ ა ყ ე ბ ა რ ა



წითელ ბაზრის საღმრთო
კომისია „ბრძენია“
ისპანახის კონები
თურმე შეუძენია.
მაგრამ ნორმით გაყიდა
და გრამობით გაუშვა,
ნახევარი დალბა და
სანაგვეში ჩაუშვა.



მუშკოპშია, სალაროში,
ცვლავ სულიკო ახმეტელი
ფულის გულა, მანე ფულის,
ამქაფავი, ამხვეტელი.
ბამბაზის ფულის შეჭმით
მან სახკვებაც ასახელა
და დღეს ისევ საქათმეში
დათარეშობს წუწკი მელა.



ცეკავშირი, — ამბობენ, რომ —
ნომერ პირველს, საწყობს,
ლორთქიფანიძე განაგება
და იშკილებს აწყობს:


საქონელი გაყიდა და
მიითვისა „ფარა“,
მაგრამ გამგემ მიითვისება
მაინც არ იკმარა, —
თანამშრომლებს დაერია,
იმუქრება მუდამ,
ამისთანა „ბეჯით“ გამგეს
ნაბადი და გულა!



გაიცანით!
ცეკავშირის
„გლავებუზია“, — ხვიჩია!
მლიქვნელი და პროტექტორი
ინტრიგანი ბიჭია!



სურგულაძე — ძველი დროის
ვაჭარია „ჩინებული“,
დღეს საწყობის
გამგეთ არის
„წამოკვარახეინებული“.



აი ვაჭრების
„პაროჩკა“ კიდევ,
ორნი არიან,
ტოლნი არიან,
თვალი და ბურჯი
ჩვენს „ცეკავშირის“, —
არონეშიძე,
კემულარია.



ვილაუვილის ქალს მუშკოპის
პასუში ნახავთ ხშირად,
იქ თანამშრომლობს, თუმც შრომა
არ მიაჩნია ჩირადა;
ყოყორობს, ისე ყოყორობს,
რომ დაამყარა რევანში
და დროს ატარებს „ტიტინში“
და პაპიროვის წვევაში.



ამ სპეკულიანტს ხომ იცნობთ
ხუთი წიგნაკით ხელშია?!
ულაპავს და მუშკოპს აგინებს:
— „სახკვება განსაცდელშია“..



გიგოს 95 მანეთი ჰქონდა თევზი ჯა-
მაგირი. ცოლის გარდა სხვა არავინ
ყავდა სარჩენი. მოყვრები და ნათესა-
ეები არ აწუხებდნენ. მხოლოდ ერთი
შორეული ნათესავი ქორუტა სცხოვ-
რობდა მახლობელ სოფელში.

ყოვე კვირა დღეს ქორუტა ცხენით
გამოუვლიდა ხოლმე გიგოს და კე-
თილი, ნათესაური გრძნობით შონა-
ხულვებდა.

ქორუტა კარგა შეძლებული გლეხი
იყო—კულაკი. კვირობით ქალაქში
ბაზარზე სურსათი და წვრილფეხი სა-
ქონელი მოჰქონდა გასასყიდათ. დი-
ლით, სოფლიდან მომავალი მისი ცხე-
ნი დატვირთული იყო ხოლმე, შუა-
დღისას კი—თითონ ქორუტა და მისი
ჯიბები ფულით.

გაყიდიდა თუ არა ქორუტა თავის
საქონელს, გიგოს ჩამოუარდა შუა-
დღისას, ფანჯარაზე დაუკაკუნებდა
და ისედაც დაღრეჯილი, კიდევ უფ-
რო დაიღრეჯებოდა გიგოს დანახვაზე.

გიგოს კი მისი დაახება გულს უსი-
ებდა.

— მოვიდა მაინცდამაინც სადილო-
ბის დროს, უნდა ჩაძაჭამოს სახლი!
ბურღულუღებდა გიგო თავისთვის და
უგულოდ ებატიყებოდა ძუნწსა და
გაიძვერა ქორუტას.

მართლაც, მზე რომ ვადიხრებოდა,
კარგად გამოძიარე ქორუტა კარგათ
ყოფნას უსურაობდა გიგოს და არხეი-
ნად თავისი ბედაურით სახლისკენ გა-
სწევდა.

მომეწონდა გიგოს ასეთი ურცხვი
სტუმარი.

— ეს ტუტუტი ერთხელ მაინც მო-
მიტანდეს რამეს: ფხალს, ან ერთ წა-
წილას, ყოველ კვირას რომ ვაჭრობს
და ჩემს ხარჯზე გამოდის! ღორის შვი-
ლი, უნაშუსო.— იგინებოდა გიგო.—
არა, ერთი ასეც უნდა ვქნათ, ქალო,
მოდი ნუ გამოიტან სადილს, მარა ის
ხომ არ წავა სადილის გამოტანამდე
და მანავდე მეც მოვკვდი შიმშილით.
ფუ, უზრდელი!

ბევრი იფიქრა გიგომ, რომ ასეთი
სტუმარი თავიდან მოეშორებინა.

გათენდა კვირა დილა თუ არა,
გახარებული გიგო მივარდა ჯერ კი-
დედ მძინარე ცოლს და ორივე ხელე-
ბით შეაწვდიდა.

— მარამ, მოვივინე, მოვივინე,
ქორუტას საწინააღმდეგო წამალი.
ტუტუტადა გახარებული გიგო.

ათ, მოზრდუნდეს დღეს ის ღორმუ-
ცელა, ნახე როგორ მოვიშორო!— და
გულისფანცქალით ელოდა ქორუ-
ტას მოსვლას.

— ოოო, ქორუტას ვახლავარ, ჩემს
ქორუტას.— შეხვდა არაჩვეულებრი-
ვად მზიარული გიგო. ქორუტას და
სახლში მიიწვია.

— დღეს რაღაც ცოტა დაიგვიანე,
— მიმართა გიგომ სტუმარს, მიუხე-
დავით იმისა რომ სტუმარი ჩვეულებ-
რივით გამოცხადდა დანიშნულ სა-
ათზე.

— რაღაც საქმე მქონდა ბაზარში
და ამიტომ!— განუხარტა ქორუტამ.

— ჰოო, მე კი ვიფიქრე, რომ ქო-
რუტა დღეს აღარ მოვათქო და სადი-
ლი შევასწავით; ესეცაა გავთავით.
ამიტომ, ჩემო ქორუტა, ბაზრიდან
როცა ბრუნდები, მაშინ კი არ უნდა
გამოიარო ხოლმე, არამედ დილით
სავაჭროთ ბაზრისკენ რომ მიდიხართ.
მაშინ მეცლოდინება, რომ შენ გამოვი-

ლი, სადილსაც შევამზადებ და და-
გიცდი კიდევ.

— ჰო, მართალი ხარ, ჩემო გიგო,
მართალი!— ჩაილულულა ქორუ-
ტამ. მას ვერაფრით ეპიტნავა გიგოს
რჩევა.

რას იტყვი მკითხველო, გამოუვე-
ლიდა დილით ქორუტა გიგოს თუ
არა?

რასაკვირველია— არა. დილას ბაზ-
რისკენ მიმავალი სურსათ-საწოვავით,
გოჭებით, ქათმებით და ხილით და-
ტვირთული ძუნწი ქორუტა გიგოს
არ გამოუვლიდა.

გიგომ აზუნარი სტუმარიც თავი-
დან მოიშორა.

„დამკვრელი“

ჩვენს პატარა მეფეზრის ხევში,

კოლექტივი არი,

და იმისი ხელმძღვანელი

ქოჩორაძე არი.

მას ფულები ძალზე უყვარს,

ჭამაშია ჩქარი,

თუ მინდორში რა კეთდება

არის უმეცარი.

ვენახები მოსაწამლი,

გაფუჭებას არი;

ნაცვლად როსტომ ჩიკოიძისას

ქოჩორაძე არი.

ყოყლოჩინა, კულაბზიკა

სულ სხვა ბჭივი არი.

ფეხით იგი არხად წავა,

მერანი ყავს ჩქარი.

მერანს მინდვრად არ გაავდებს,

შუა ბაღში არი.

საცა ნამყენს მიუღებდა

მისი ნება არი.

რაც ვანომ ჰქნა ქოჩორაძემ

სულ შედმეტი არი.

ბრიბადელი № 30.

თიანეთი

თავმოყვარე

თავმჯდომარე

არის ჩვენი კოწო.

ჭამის მაღა მას დიდი აქვს,

უყვარს: ერბო, კილო.

ამას წინედ გამოართვა

გლეხს ერბო და ყველი;

(უიმათოთ უშრელობდა

კოწოს ხახა-ყელი).

შვიდი კილო ჭყინტი ყველი;

ორი კილო ერბო

გლეხის მიერ „დამოზობითა“

ათ მანეთად ერგო.

შიშისაგან აღმასკომში

შესვლა უმძიმთ გლეხებს.

ხასიათზე თუ არ არის

აბრაგუნებს ფეხებს.

ტარტაროზო, ინახულე

თიანეთი ჩვენი;

დამერწმუნე—კიდევ ბევრი

გაგატანო ძღვენი.

მცოდნე.

სპვილი სოფარი

მუშკოპოს ერთ-ერთ სავაჭროს
გამგეს თავის კაბინეტში ეძინა. შიკ-
რიკი მორიდებით შევიდა შგ დაწინ
ბარათი დაუდო.

სავაჭროს გამგეს ამხ. მდევარაძეს.

დღეს საღამოს 6 საათზე დანიშნუ-
ლია მუშკოპოსის წმენდა. გთხოვთ
აუცილებლად მოზრდუნდეთ, რადგან
თქვენ შედიხართ გამწმენდ კომისიის
წევრათ. გამწმენდი კომისია.

გამგეს ულვაშებში ჩაეცინა. ენლა
ქ. ჩემს ხელში ხარ. აბა ნახე რა დღე
დაგაყენო ჩემი გაწმენდი ტყუილად გა-
წერისათვის.— ფიქრობდა გამგე.

კომისიის თემჯდომარემ გახსნა
კრება და გააცნო საზოგადოებას მუ-
შკოპოსა წმენდის მნიშვნელობა.

მდევარაძე ცქმუტავს, ეჩქარება მი-
სი „საკბილო“-ს გამოძახებას.

— კალამაძე!— გაისმა ხმა.

— აქ ვარ.— დაიძახა მუშკოპოსა.
კალამაძემ დაიწყო თავისი ბიოგრა-
ფია.

შეკითხვები მიაყარეს.
წამოდგა მივევარაძე და დაიწყო—
ამხანაგებო, კალამაძე ჩვენთვის მიუ-
ღებელი ელემენტი. რადგან ერთ-
გულ მომუშავეს (კილს სწამებს და მათ
შესახებ გაზეთებში ათავსებს წერი-
ლებს. ამისათვის მე მოვიტხოვ, რომ
მოსხნილა იქნეს მუშკოპობიდან.

ირგვლივ ტაში გაისმა.


ტაშის ხმაზე გამოეღვიძა გამგეს,
დაიხედა წინ და დანახა უწყება.

გახსნა და წაიკითხა:

დღეს, საღამოს 6 საათზე დანიშ-
ნულია მუშკოპოსის მუშა-მოსამსა-
ხურეთა წმენდა. თქვენი გამოცხადე-
ბა სავალდებულოა, რადგან წმენდა-
ში დღეს უნდა გატარდეთ.

— ეს ცუდი ნიშანია. აღბად ის
მუშკოპოსი გამოვა ჩემს წინააღმდეგ,
მომხსნიან!— ოოოავდა გამგე და
ბოლოს სცემდა კაბინეტში.

ვალდომისანი.



— ჰაააა! ძალიან სასიამოვნოა! როგორ ცუდათ ახსიათებენ ყარამანს, ბიუროკრატთა, ზარმაციო... რა კარგია რადიო?—მშვენიერია!



— სხსს! რაო?! ჩემზე ამბობენ! გაუსწორებელი ბიუროკრატები, ინტრიგანი, ანტი-საბჭოთა ელემენტი... (რადიოს) შენს მომგონს რა ვუთხრა მე!

სცენა ალმასკოში (საბტრადია)

გლეხი (რეგისტრატორს).— მომეცი შენ გენაცვალე, ბაღანეს მეტრიჩესკი. დილას აქეთ აქანე ვდგევიარ და აგერ ორი საათი სრულდება.

რეგისტრატორი (კობალეიშვილი): — ჰა, დავთარი და შენ თითონ მონახე. (გლეხი ეძებს, ვერაფერი ვაიგო). მარო რაღა ხარ ქეიფში? წუხელი ძან დრო ატარეთ, არა?

მარო:— იცოცხლე იქნა ფრონცკი-ფრონცკი ქალები იყო, გვაკლდი მხოლოდ შენ.

გლეხი:— მე ვერაფერი ვნახე აქანე, ბიძი, და თუ მინახავ კაი იქნება.

რეგისტრ.— მე არ მცალია, ხვალ მოდი და მონახე... მარო, ძან დრო ატარეთ არა!

გლეხი. (მიმართავს იქვე მომუშავე ქალს);— ბიძიკო შენ მაინც მომინახე იგი ქალაღი...

ქალი:— რომელი ქალაღი? სად მცალია მაგისტვის... წკრრრ... საიდან? ვიინ? უორა? რად დამატყვილე წუხელის? მე დაგატყვილე თუ შენ?

ან ტი! ანიჩა, გთხოვენ ტელეფონთან...

ანიჩა:— ზრასტი, მიშა, გენაცვალე იქეიფე წუხელის? გრიშა იყო? კაი? მარო, გესმით გრიშა ყოფილა. კარგი დრო ატარეთ? სული თქვენსკენ მქონდა, მარო ვერ წამოვედი. მიშა გიგზავნი „გოზდუშნი პოცელუის“ და გრიშასაც უნაწილე.

გლეხი:— ჩიშო ბიძიე, მომინახე იგი ჩემი ქალაღი და ჩემი ზურგით წოუღებ მაგ „გოზდუშნი პოცელუია“ თუ რაცა. (ყველაში იცინიან).

რეგისტრ.— რა გინდა, პაპაშა შენ?

გლეხი:— რაღა რა მინდა, შე კაი ქალო, დილას აქეთაი გეჩიჩინებ და ვერ გავიგე?

რეგისტრ.— რომელშია დაბადებული?

გლეხი:— ექვსში...

რეგისტრ.— დეზერტირი ყოფილა...

გლეხი:— დეზერტირი კი არა, ტფილისში აწავლობს.

რეგისტრ.— მაშ ხვალ მოდი, დღეს არ მცალია... წკრრ...

ლიპა:— ა... საიდან? საჯავახო? ნომრები მოენახოთ? რა შენომრება! საქმე ხვარ დაგილიათ...

თედორე:— იმუშავეთ, ამხანაგებო, ტფილა ნუ ცდებით!

რეგისტრ.— ეს თქვენი საქმე არ არის. ეხლა მუშაობა გათავებულია.

გლეხი:— იმდენი რა გითხრა თქვენ რამეს მოშაობდეთ და რამეს აკეთებდით!

„ტარტაროზი“-ს სპეციალური რკინის გზის ნომერი გამოვა 27 ივლისს თანაფრომლავს ვსთხოვთ მოგვაწოდონ მასალაგი

მსოფლიო რევოლუციის ხანა

ცეცხლის მქრობელთა რაზმის მიზანობა



ა. შინდერაძის ნახატი

— რამდენ წუალს ვახსებთ, მახრამ ჩაქრობა მაინც არ იქნა, უფრო ძლიერდება.